პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

585
1975/2

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (410)

1975 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 3 (410) მარტი 1975 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.
46. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობათა დამტკიცების შესახებ სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების განსაზღვრის თაობაზე.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების არშექმნის ნებართვის შესახებ.
48. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე
50. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების თაობაზე სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივასთან დაკავშირებით გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.
51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მეცხრე მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

### განყოფილება მეორე

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ხ. ს. ბღაჟბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტ[illegible] მილორავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ ლ. პ. ფალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ყვარელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ნ. აბაკელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ვ. გ. დონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ერქომაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. ოლლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. პ. ცაბოლოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხაკაიას რაიონული გაზეთ „კოლხეთის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ს. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ს. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**45 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ 1975 წლის ივნისში მთავრდება საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მეთოთხმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1975 წლის 15 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 18 მარტი.

### დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**46 საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობათა დამტკიცების შესახებ სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების განსაზღვრის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების" დებულების 49-ე მუხლის შესაბამისად ნება დაერთოს შექმნან:

1. სასოფლო საბჭოების არჩევნების 20-20 საარჩევნო ოლქი:

ამბროლაურის რაიონის სხვავის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;

ასპინძის რაიონის ორგორის, რუსთავის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;

ახმეტის რაიონის ომალოს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;

თელავის რაიონის თეთრიწყლების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;

ლენინგორის რაიონის დორეთკარის, გდუს, სალბიერის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;

ლენტეხის რაიონის ცანის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;

მესტიის რაიონის ლახამულის, ნაკის, ფარის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის რაიონის ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
საგარეჯოს რაიონის კრასნოგორსკის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
სამტრედიის რაიონის გამოჩინებულის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
ჩოხატაურის რაიონის დიდი ვანის, შუა სურების სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;
ცაგერის რაიონის ნაკურალეშის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
ცხინვალის რაიონის ბელოთის, გერის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;
ჯავის რაიონის ედისის, როკის, ქემერთის, ვანელის, წონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;
ხაშურის რაიონის ხალების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
ხობის რაიონის ყულევის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
ონის რაიონის ჭიორის, გომის, ბარის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

2. სასოფლო საბჭოების არჩევნების 15-15 საარჩევნო ოლქი:
გორის რაიონის მღებრიანის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა;
დუშეთის რაიონის უკანაფშავის, შატილის, ხეობის, გუდანის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;
თეთრი წყაროს რაიონის დურნუკის, კლდეისის, ჩხიკვთის სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა;
ონის რაიონის კვაშხიეთის, შქმერის, მთისკალთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების არშექმნის ნებართვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 13 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე დაკმაყოფილდეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობანი და ქვემოთ ჩამოთვლილ სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც მოსახლეობა 1000 კაცამდეა, გამონაკლისის სახით, ნება დაერთოთ არ შექმნან სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები:

**აბაშის რაიონში** — ონტოფოს, გეზათის, წყემის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

...ული ბიბლიოთეკა

**ადიგენის რაიონში** — დიდი სმადის, მლაშეს, მოხის, ჭეჭლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ამბროლაურის რაიონში** — ველევის, ნამანევის, სხვავის, ხიდიკრის, ხოტევის, ცახის, წესის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ასპინძის რაიონში** — აწყვიტის, იდუმალის, ორგორის, რუსთავის, ტოლოშის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ახალქალაქის რაიონში** — ხავეთის, ოკამის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ახალციხის რაიონში** — ანდრიაწმინდის, საძელის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ახმეტის რაიონში** — ომალოს, კასრისწყლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ბორჯომის რაიონში** — გვერდისუბნის, გუჯარეთის, ტბის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**გეგეჭკორის რაიონში** — დოშაყეს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**გორის რაიონში** — მღებრიანის, საყავრის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**დმანისის რაიონში** — საკირეს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**დუშეთის რაიონში** — ბარისახოს, გრემისხევის, გუდანის, უკანაფშავის, შატილის, ხეობის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ვანის რაიონში** — გადიდის, ძულუხის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ზუგდიდის რაიონში** — გრიგოლიშის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**თეთრი წყაროს რაიონში** — ახალსოფლის, დურნუკის, კლდეისის, შეხვეტილას, ჩხიკვთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**თელავის რაიონში** — თეთრიწყლების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**თერჯოლის რაიონში** — გოგნის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**თიანეთის რაიონში** — არტნის, ახალსოფლის, ტუშურების სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ლანჩხუთის რაიონში** — ნინოშვილის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ლენინგორის რაიონში** — დორეთკარის, გდუს, სალბიერის, ქარჩოხის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ლენტეხის რაიონში** — ხოფურის, რცხმელურის, ცანის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**მახარაძის რაიონში** — სილაურის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**მაიაკოვსკის რაიონში** — საკრაულის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**მესტიის რაიონში** — კალის, ლახამულის, ნაკის, უშგულის, ფარის, ცხუმარის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**მცხეთის რაიონში** — ცხვარიჭამიის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ონის რაიონში** — ბარის, გლოლის, გომის, კვაშხიეთის, მთისკალთის, პიპილეთის, საკაოს, სორის, ფარახეთის, შეუბნის, შქმერის, ცხმორის, ჭიორის სასოფლო საბჭოების აღმარულებელ კომიტეტებს;

**ორჯონიკიძის რაიონში** — ბაზალეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**საგარეჯოს რაიონში** — კოჭბაანის, კრასნოგორსკის, უჯარმის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**სამტრედიის რაიონში** — გამოჩინებულის, გორმაღლის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**საჩხერის რაიონში** — ცხომარეთის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ქარელის რაიონში** — ახალსოფლის, გვერძინეთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ჩოხატაურის რაიონში** — დიდი ვანის, ზემო სურების, ზემო ხეთის, შუა სურების, ხევის, ზომლეთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ჩხოროწყუს რაიონში** — თაიას, ნაკიანის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ცაგერის რაიონში** — ალვის, ლუხვანოს, ნაკურალეშის, უსახელოს სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ცხაკაიას რაიონში** — ზემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ცხინვალის რაიონში** — ბელოთის, გერის, ბიყარის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**წითელწყაროს რაიონში** — წითელი საბათლოს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**წულუკიძის რაიონში** — კინჩხის სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს;

**ხაშურის რაიონში** — ხაღების, წრომის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ხობის რაიონში** — ალიონის, ბიის, პირველი ხორგის, ყულევის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ქ. ჭიათურის** — გეზრულის, ხვაშითის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს;

**ჯავის რაიონში** — ვანელის, ქეშელთის, როკის, ედისის, წონის, ყემულთის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც არ შეიქმნება სასოფლო საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები, მათი ფუნქციების შესრულება დაეკისროს საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომელთა შემადგენლობაშიც შედის აღნიშნული საარჩევნო ოლქების ტერიტორია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა რესპუბლიკის ცხოვრებაში. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მომავალი არჩევნებისათვის მზადება და თვით არჩევნები ჩატარდება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია საქართველოს მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ბრძოლით პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წ.) პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების დადგენილებათა განუხრელად განხორციელებისათვის; იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. საარჩევნო კამპანიის დროს რესპუბლიკის საბჭოთა ორგანოების მთელი საქმიანობა მიმართული იქნება თითოეული შრომითი კოლექტივის, ყველა მშრომელის მობილიზაციისათვის ამ დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადასაწყვეტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მორიგი არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა წამოყენება, დამტკიცება და მასალე-

ბის პრესაში გამოქვეყნება არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დებულებებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) სათანადო დახმარება გაუწიონ საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, დროულად გამოუყონ შენობები და მოამარაგონ ისინი არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტებით, ლიტერატურით, კონსტიტუციით, არჩევნების დებულებებით, პლაკატებით, თვალსაჩინოებებით, ქაღალდითა და სხვა მასალით;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამომრჩეველთა სიების სწორად შედგენას, მათ დაზუსტებას. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები და აქტივისტები; დადგენილ ვადებში გამოაქვეყნონ ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის;

დ) უზრუნველყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მშრომელთა კოლექტივების მიერ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება დებულებით გათვალისწინებულ ვადებში. წინასაარჩევნო კრებებზე აგიტაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით ამომრჩევლებს გააცნონ დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიები და მათი შრომითი საქმიანობა;

ე) ჩაატარონ სათანადო მუშაობა იმ განაწესების ზუსტი აღრიცხვისა და განზოგადებისათვის, რომლებიც იქნება წამოყენებული ამომრჩევლებთან მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატების შეხვედრისადმი მიძღვნილ კრებებზე. ასევე განიხილონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესები და წინადადებები მათი შესრულების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს;

ვ) მიიღონ ზომები, რომ არჩევნებთან დაკავშირებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა გაშლილ იქნეს საზოგადოების ყველა ფენას შორის. უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, თემატური საღამოები, კონსულტაციები საბჭოთა საარჩევნო სისტემის, საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების და საბჭოების, როგორც სახალხო წარმომადგენლობის ორგანოების საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახსნა-განმარტებით მუშაობას ახალგაზრდა ამომრჩევლებთან, რომლებიც პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

2. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განაცხადთა შესაბამისად, უზრუნველყოს საარჩევნო კომისიები და საარჩევნო უბნები კავშირგაბმულობის საშუალებებით. მიიღოს ღონისძიებანი არჩევნების მზადებისა და ჩატარების პერიოდში სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზების შეუფერხებელი მუშაობისა და არჩევნებთან დაკავშირებული საფოსტო გზავნილებათა დროულად მიწოდებისათვის. მოაწყოს იმ

მუხ 48
ეროვნული ბიბლიოთეკა

საარჩევნო უბნების რადიოსადგურებით მომსახურება, რომლებსაც არ გააჩნიათ სატელეფონო კავშირი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა დროულად გამოსცეს მასობრივი ტირაჟით არჩევნებთან დაკავშირებული სათანადო ლიტერატურა, სააგიტაციო პლაკატები, მოწოდებები და შეიტანოს ისინი მაღაზიებში; აგრეთვე დაბეჭდოს რესპუბლიკის სტამბებში საარჩევნო დოკუმენტები, დეპუტატობის კანდიდატების ბიოგრაფიათა ფურცლები და სხვა მასალები.

4. სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს საზღვაო ნაოსნობის სამმართველომ საარჩევნო უბნები მოაწყონ აეროპორტებში, რკინიგზის დიდ სადგურებში, აგრეთვე ბათუმის, ფოთის და სოხუმის საზღვაო ნავსადგურებში; საარჩევნო კომისიების განაცხადების მიხედვით, საჭირო შემთხვევებში, მოემსახურონ შორეულ დასახლებულ პუნქტებს თვითმფრინავებით და ვერტმფრენებით.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ მოაწესრიგონ არჩევნებთან დაკავშირებული ბროშურებით, წიგნებით, საკანცელარიო ნივთებით და ქაღალდით ვაჭრობის საქმე.

6. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ ამომრჩევლების კულტურული მომსახურება წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის დროს და არჩევნების დღეს.

კულტურის სახლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში სისტემატურად ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები, საუბრები არჩევნებთან დაკავშირებით. უჩვენონ მხატვრული და დოკუმენტური კინოფილმები. ამომრჩევლებისათვის მოაწყონ ხელოვნების ოსტატთა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების, აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლები და სხვა კულტმასობრივი ღონისძიებანი.

7. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა.

სათანადო პროპაგანდა გაუწიონ ამ დარგში საბჭოების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას.

8. დამტკიცდეს განაწილება არჩევნებთან დაკავშირებული თანხებისა რაიონების და ქალაქების მიხედვით, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 49 სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 65-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნოტარიულად დადასტურებულ რწმუნებულებს უთანაბრდება:

— ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფი სამხედრო მოსამსახურის და სხვა პირის რწმუნებულებანი, რომლებიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ;

სამხედრო მოსამსახურის რწმუნებულება, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორა და სანოტარო ოქმების შემსრულებელი სხვა ორგანო, აგრეთვე მუშა-მოსამსახურის, მისი ოჯახის წევრების და სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების რწმუნებულება, რომელიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირის რწმუნებულება, რომელიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ“.

2. კოდექსის 67-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რწმუნებულება, რომელიც განკუთვნილია საზღვარგარეთ მოქმედების შესასრულებლად და არ შეიცავს მითითებას მისი მოქმედების ვადის შესახებ, ინარჩუნებს ძალას რწმუნებულების გამცემი პირის მიერ მის გაუქმებამდე“.

3. კოდექსის 552-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 552. ანდერძი, რომელიც უთანაბრდება ნოტარიულად დადასტურებულ ანდერძს

ნოტარიულად დადასტურებულ ანდერძს უთანაბრდება:

ა) საავადმყოფოში, სხვა სტაციონარულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, სანატორიუმში სამკურნალოდ მყოფი ან მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლში მცხოვრები მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურე-

მეხ. 49 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულია ამ საავადმყოფოს, სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის ან მორიგე ექიმის მიერ, აგრეთვე მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის დირექტორისა და მთავარი ექიმის მიერ;

2) სსრ კავშირის ალმით მცურავი საზღვაო ან შიდა ნაოსნობის გემზე მყოფი მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ გემის კაპიტნის მიერ;

3) სადაზვერვო, არქტიკულ და სხვა მათ მსგავს ექსპედიციაში მყოფი მოქალაქის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ექსპედიციის უფროსის მიერ;

4) ჰოსპიტალში, სანატორიუმსა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფი სამხედრო მოსამსახურის და სხვა პირის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების უფროსის, სამედიცინო ნაწილში მისი მოადგილის, უფროსი და მორიგე ექიმის მიერ;

5) სამხედრო მოსამსახურის ანდერძი, ხოლო იმ ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სამხედრო სასწავლებლის დისლოკაციის პუნქტში, სადაც არ არის სახელმწიფო სანოტარო კანტორა და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანო, აგრეთვე მუშა-მოსამსახურის, მისი ოჯახის წევრებისა და სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრების ანდერძი, რომელიც დადასტურებულია ამ ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაურის (უფროსის) მიერ;

6) თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პირის ანდერძი, რომელიც დადასტურებულია თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსის მიერ".

4. კოდექსის 553-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მოანდერძეს შეუძლია აგრეთვე მოშალოს ან შეცვალოს ანდერძი განცხადების შეტანის საშუალებით სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, ხოლო იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც სახელმწიფო სანოტარო კანტორა არ არის — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში".

II. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. კოდექსის 58-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მტკიცებულებათა უზრუნველყოფა სასამართლოში საქმის აღძვრამდე წარმოებს სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ, სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული წესით".

2. კოდექსის 253-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) საჩივარი სანოტარო მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ".

3. კოდექსის 286-ე და 287-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„**მუხლი 286.** საჩივრის შეტანა

დაინტერესებულ პირს რომელსაც უმართებულოდ მიაჩნია შესრულებული სანოტარო მოქმედება ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა, უფლება აქვს ამის შესახებ საჩივარი შეიტანოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში სახელმწიფო სანოტარო კანტორის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საჩივარი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 552-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა მიერ ანდერძისა და რწმუნებულების უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში შესაბამისად საავადმყოფოს, სხვა სტაციონარული სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულების, სანატორიუმის, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლის, ექსპედიციის, ჰოსპიტლის, სამხედრო-სამკურნალო დაწესებულების, ჯარის ნაწილის, შენაერთის, დაწესებულების, სამხედრო სასწავლებლის, თავისუფლების აღკვეთის ადგილის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საჩივარი სსრ კავშირის ალმიანი საზღვაო ან შიდა ნაოსნობის გემის კაპიტნის მიერ ანდერძის უმართებულო დადასტურების ან მის დადასტურებაზე უარის თქმის გამო შეაქვთ სასამართლოში გემის მიწერის ნავსადგურის მიხედვით.

საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში ათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა სანოტარო მოქმედების შესრულება ან მის შესრულებაზე უარის თქმა.

დაინტერესებულ პირებს შორის წარმოშობილ დავას იმ უფლების შესახებ, რომელიც დამყარებულია შესრულებულ სანოტარო მოქმედებაზე, განიხილავს სასამართლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად სასარჩელო წარმოების წესით.

**მუხლი 287.** საჩივრის განხილვა

სასამართლო საჩივარს განიხილავს განმცხადებლის, სახელმწიფო ნოტარიუსის ან იმ თანამდებობის პირის მონაწილეობით, რომლის მოქმედების ან მის შესრულებაზე უარის თქმის გამო შეტანილია საჩივარი, ამასთან მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის გადაწყვეტას".

4. კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „ნოტარიუსის".

III. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ" საქართველოს სსრ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 12, მუხ. 191) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

კანონის 22-ე მუხლის „მ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) აწარმოებს სანოტარო მოქმედებას სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის კანონის 25-ე მუხლს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 212) დაემატოს „რ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„რ) აწარმოებს სანოტარო მოქმედებას სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1975 წლის 27 მარტი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების თაობაზე სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივასთან დაკავშირებით გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივის — „ყოველი ჰექტარი მიწა — სიუხვის სამსახურში“ საპასუხოდ მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა მიწის დაცვის, მისი სამეურნეო ბრუნვაში ჩაბმისა და რაციონალურად გამოყენებისათვის. საბჭოების სესიებზე, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებებზე პერიოდულად იხილება მიწისადმი ყაირათიანი მიდგომისა და მიწის კანონმდებლობის დაცვის, თესლბრუნვის უფრო სრულად ათვისებისა და ყამირი მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართვის საკითხები. შემუშავებული პერსპექტიული გეგმების მიხედვით ხორციელდება ღონისძიებანი ადრე დაუმუშავებელი მიწების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გადაქცევის, აგროტექნიკურ ღონისძიებათა უკეთ გატარებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენებისათვის.

სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა და დეპუტატების მიერ რაიონში გამოვლენილი და აღრიცხულია 584 ჰექტარი ჩამონაჭერი მიწის ნაკვეთი, რომელთაგან უკვე ათვისებული და დამუშავებულია 483 ჰექტარი. ამ მხრივ აღსანიშნავია კარალეთის, ბერბუკის, ვარიანის, ქვახვრელის, ტინისხიდის, მეჯვრისხევის და შავშვების სასოფლო საბჭოების კარგი მუშაობა. ასე მაგალითად, კარალეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატთა თაოსნობით გამოვლენილია 51 ჰექტარი გამოუყენებელი მიწა. ვარიანის სასოფლო საბჭოში დამატებით ათვისებულ იქნა 18 ჰექტარი ჩამონაჭერი მიწის ფართობი, მეჯვრისხევში — 12 ჰექტარი. მიწის სავარგულების შემდგომი გადიდებისა და მათი ნაყოფიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლების მიზნით სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ცალკეულ რგოლებსა და ბრიგადებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრი. სისტემატურად წარმოებს შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა გამოვლენა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებზე მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობას. მასალები ამ საკითხებზე პერიოდულად ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებამ დიდად შეუწყო ხელი გასული სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას. გეგმის ზევით დამზადდა 695 ტონა ხილი, 4.239 ტონა ბოსტნეული. ვადაზე ერთი წლით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის რძის, ხორცის, მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ გორის რაიონში მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ არსებულ მიწის ფონდს, ნელი ტემპით აწარმოებენ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, ნიადაგის დამუშავებისა და სასუქების შეტანის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვას; ეფექტურად არ იყენებენ სარწყავ მიწებს. მაგალითად, ატენის, ხიდისთავის, ნიქოზის კოლმეურნეობებში 1974 წელს სარწყავ ფართობზე მიღებული საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება ურწყავ მიწაზე მიღებულ მაჩვენებლებს.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მიწების ჩამოჭრა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან მათ კვლავ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მეპატრონეები ამუშავებენ. ასევე ფორმალურად ხდება ნორმის ზევით ჩამორთმეული ნაკვეთების საწარმოო ბრიგადებისათვის გადაცემა და სხვ (ხიდისთავის, ნიქოზის და ტირძნისის მეურნეობები).

სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველთვის არ იცავენ შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტით გათვალისწინებულ ნორმებს და ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოყოფენ მაღალნაყოფიერ მიწებს (დიცის, ტყვიავის, მერეთის, შინდისის და ვარიანის სასოფლო საბჭოები). ყოველივე ეს კი ხელს უწყობს სავარგულების შემცირებას. მარტო უკანასკნელი 5 წლის მანძილზე რაიონში სახნავი მიწების ფართობი 170 ჰექტარით შემცირდა.

ბოშურის, საყავრის, მღებრიანის, ზეღდულეთის სასოფლო საბჭოებს არ შეუმოწმებიათ და არ განუხილავთ სესიებსა, აღმასკომების და მუდმივი კომისიების სხდომებზე ანაგელთა ინიციატივა და ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა არ ჩაუტარებიათ. ხოლო მერეთის, შინდისის სასოფლო საბჭოებმა მართალია განიხილეს ეს საკითხი, მაგრამ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებით აღარ დაინტერესებულან.

მუხ. 50
ეროვნული

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი სათანადო კონტროლს არ ახორციელებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სასოფლო საბჭოების მიერ მიწის დაცვასა და რაციონალურად გამოყენებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების გორის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 12 მარტის დადგენილების, სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს მიმართვის შესაბამისად არსებითად გააუმჯობესოს მუშაობა ნიადაგის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების, მიწის ახალი რესურსების გამოვლენისათვის, რისთვისაც:

ა) სისტემატურად შეისწავლოს და საბჭოების სესიებზე, მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე განიხილოს რაიონში მიწის რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენების საკითხები;

ბ) არ დაუშვას მიწისადმი უყაირათო დამოკიდებულების შემთხვევები, მიიღოს ზომები ჩამონაჭერი და მელიორირებული მიწების, დაშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მთლიანად ჩართვისათვის; სწორად დაგეგმოს ათვისებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა და გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება საჰექტარო მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის;

გ) სრულყოს მუშაობა მიწების ახალი რესურსების გამოვლენისა და ათვისების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლისათვის, მისი მასობრიობისათვის. უზრუნველყოს სოცშეჯიბრში გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისება, ცალკეული საბჭოს დეპუტატის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ამ დარგში გაწეული დადებითი მუშაობის გამოცდილების ყოველმხრივი გავრცელება და დანერგვა;

დ) ადგილობრივმა პრესამ და საზოგადოება „ცოდნას“ რაიონულმა ორგანიზაციამ მეტი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობაში მიწის დაცვისა და მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის პროპაგანდის საკითხებს. ამ საქმიანობაში უფრო ფართოდ ჩააბან მეცნიერები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს შეამოწმონ მიწების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების თაობაზე სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი ,1975 წლის 27 მარტი.

კ. მარქსის სახ. ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 51 მეცხრე მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების" 36-ე და 37-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს მეცხრე მოწვევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგ წარმომადგენელთა შემადგენლობით:

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

**კურტანიძე** გიორგი ნიკოლოზის ძე — თბილისის ფოლად-თუჯჩამომსხმელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

**ჯაფარიძე** რუსუდან ალექსანდრეს ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოსაგან.

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი

**ყარყარაშვილი** შალვა ვასილის ძე — კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციისაგან.

### ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

**ალიევი** მასიმ პანახ ოღლი — ბოლნისის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

**ასმიანი** იზოლდა პარუირის ასული — განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონული ორგანიზაციისაგან;

**გუბაზი** აიდა საჯარათის ასული — გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის" წევრებისაგან;

**დურმიშიძე** სერგო ვასილის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისაგან;

**ვალიევა** ფედოსია ალექსის ასული — ცხინვალის რაიონის არცევის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადაძე დარეჯან გიორგის ასული — ქუთაისის ბამბის საქსოვი კომბინატის საწარმოს მეთაური საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

მანთეშაშვილი თენგიზ ნიკოლოზის ძე — ქალაქ თბილისის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

მილიუშკოვი ბორის კონსტანტინეს ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ოვერჩუკი ალექსი მეთოდეს ძე —ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

ფაღავა ლეილა ოთარის ასული — აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივისაგან;

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე — საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან;

ჩლაიძე მაყვალა დიმიტრის ასული — გორის რაიონის კოლმეურნეობა „ლიახვის“ წევრებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1975 წლის 28 მარტი.

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 ამხ. ხ. ს. ბღაჟბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზეთის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ამხ. ხუხუტი სოლომონის ძე ბღაჟბა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1975 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 კომპოზიტორ შ. ე. მილორავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, კომპოზიტორი შოთა ერმილეს ძე **მილორავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 კომპოზიტორ ლ. პ. ფალიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუსიკალური და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით, კომპოზიტორი ლევან პეტრეს ძე **ფალიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 3 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 ამხ. მ. დ. ყვარელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მიხეილ დავითის ძე **ყვარელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. **ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. **ქვაჩაძე.**

თბილისი, 1975 წლის 5 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით თბილისის ოფიცერთა სახლის დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი მუშაობისათვის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და სასწავლებლების კოლექტივებთან სამხედრო ნაწილების საშეფო ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით **თბილისის ოფიცერთა სახლი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 ამხ. ბ. ნ. აბაკელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" განყოფილების უფროსი ამხ. ბორის ნესტორის ძე აბაკელია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 პროფ. ვ. გ. დონაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკათმცოდნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ვლადიმერ გრიგოლის ძე **დონაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 ამხ. ნ. ი. ერქომაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. ნინო ივანეს ასული **ერქომაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 ამხ. ლ. ა. ოღლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ლეონტი ალექსანდრეს ძე **ოღლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ეროვნული

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 ამხ. ე. პ. ცაგოლოვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მართლმსაჯულების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ამხ. ელისაბედ პავლეს ასული ცაგოლოვა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 62 ცხაკაიას რაიონული გაზეთ „კოლხეთის" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით, ცხაკაიას რაიონული გაზეთი „კოლხეთი" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 12 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 ამხ. ა. ი. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანი პარტბილეთისა და პარტსტატისტიკის სექტორის გამგე ამხ. ალექსანდრე ილარიონის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 ამხ. გ. ი. ისაკაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. გივი ილარიონის ძე **ისაკაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 65 ამხ. ვ. ს. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვიქტორ სტეფანეს ძე **კვარაცხელია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 66 ამხ. ბ. ს. პაიჭაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ბორის სოლომონის ძე პაიჭაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1975 წლის 20 მარტი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციების განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში, აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელ დადგენილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები მეტ ყურადღებას აქცევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულების საქმეს. აღნიშნული სამინისტროების ხელმძღვანელები მუდმივი კომისიების რეკომენდაციებს სათანადო მითითებით გადასცემენ შესაბამის სამმართველოებს და განყოფილებებს.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის 1973 წლის 30 ოქტომბრის რეკომენდაციათა შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სათანადო სპეციალისტები მიავლინა რაიონების სამედიცინო დაწესებულებებში პრაქტიკული დახმარების გასაწევად. მიღებულ იქნა აგრეთვე ზომები ავადმყოფთა კვების საქმეში გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად. დაისახა ღონისძიებანი რესპუბლიკის საავადმყოფოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების და მოზარდთა და ბავშვთა სტაციონარებში საწოლთა ფონდის რაციონალურად გამოყენებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის დადგენილების საფუძველზე სამინისტრომ მიიღო ზომები თბილისის სტუდენტთა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ სტუდენტებზე დისპანსერული მეთვალყურეობისათვის. ამ კონტინგენტის უკეთ მომსახურების მიზნით გამოიყო ექიმები, რომლებიც უცხოელ სტუდენტებს უტარებენ სამედიცინო-პროფილაქტიკურ შემოწმებებსა და უწევენ სათანადო სამედიცინო დახმარებას.

„რესპუბლიკაში საშუალო-სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადების მდგომარეობის შესახებ“ სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის დადგენილების შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შეისწავლა რესპუბლიკის 12 სამედიცინო სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და მიიღო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მახარაძის სამედიცინო სასწავლებელს გადაეცა სამშობიარო სახლის გამოთავისუფლებული შენობა, კაპიტალურად შეკეთდა სოხუმის სამედიცინო სასწავლებლის შენობა და სხვა.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ მრეწველობის მუდმივი კომისიის დადგენილების შესასრულებლად ფაბრიკა „ისანთან“, ფეხსაცმლის კერვის ტექნოლოგიის სპეციალისტთა მომზადების მიზნით, ჩამოაყალიბა მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის საღამოს განყოფილების ჯგუფი.

„რესპუბლიკაში ატმოსფერული ჰაერისა და წყლის რესურსების დაცვის შესახებ“ ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების ერთობლივი დადგენილების შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიუთითება მისცა სანიტარიული ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ კონტროლი და მომთხოვნელობა ატმოსფერული ჰაერის და წყლის რესურსების დაცვის საქმეში დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის დადგენილების შედეგად, რომელიც ეხებოდა ავადმყოფთა კვების მდგომარეობას რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებებში, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე კვალიფიკაცია აიმაღლა 2 დიეტექიმმა, 15 დიეტდამ და 8 დიეტმზარეულმა; საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური სკოლის ბაზაზე მომზადდა 15 დიეტდა და 19 დიეტმზარეული.

„საქართველოს სსრ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე კანონმდებლობის დაცვის შესახებ“ საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისიის დადგენილების საფუძველზე მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ შეისწავლა გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და ტექნოლოგიური პროცესების დაწესებულ მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა რესპუბლიკის რიგ საწარმოში.

ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის დადგენილებასთან დაკავშირებით მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა გამოსცა სპეციალური ბრძანება რომლითაც საწარმოთა ხელმძღვანელებს დაევალათ სკოლადამთავრებული ახალგაზრდების სამუშაოზე სწორად განაწილება და მათთვის შრომის სათანადო პირობების შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვისა და შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანი.

აღნიშნულ სამინისტროებში არ იცავენ დადგენილ წესს დეპუტატებისა და მუდმივი კომისიების წინადადებებისა და რეკომენდაციების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების შესახებ; მუდმივი კომისიების მასალები ცალკე არ ინახება, დადგენილებები და მათთან დაკავშირებული მასალები გაბნეულია აღნიშნული სამინისტროების სამმართველოებსა და განყოფილებებში, რაც ართულებს კომისიების რეკომენდაციების და წინადადებების ზუსტი აღრიცხვის, კონტროლისა და შემოწმების საქმეს.

მუდმივი კომისიების წინადადებებსა და რეკომენდაციებს სამინისტროები არ იხილავენ კოლეგიებზე კომისიების წარმომადგენლებთან ერთად.

„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვების მდგომარეობის შესახებ“ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის დადგენილებაში რეკომენდებული იყო ამ საკითხის სამინისტროების კოლეგიების სხდომებზე მოსმენა. მაგრამ მიუხედავად ამისა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიას არ უმსჯელია ზემოაღნიშნულ საკითხზე.

დღემდე არ შესრულებულა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების ერთობლივი რეკომენდაცია ცხაკაიას ხალიჩების ფაბრიკის მიერ გამოყოფილი გაზებით ჰაერის გაბინძურების სალიკვიდაციოდ.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში კონტროლზე არ არის აყვანილი კომისიების დადგენილებები. ამასთან არ არის დაწესებული კონკრეტული ვადები კომისიების რეკომენდაციათა დროულად განხორციელებისათვის.

არის შემთხვევები, როცა სამინისტროები დადგენილ ვადებში არ აწვდიან ინფორმაციას კომისიებს.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 26 დღის დაგვიანებით წარმოუდგინა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივ კომისიას ინფორმაცია 1974 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს:

განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების დროული განხილვისა და შესრულებისათვის სამმართველოებში, განყოფილებებსა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სხვა ორგანიზაციებში. ამასთან კომისიების რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულების მდგომარეობა პერიოდულად განიხილონ კოლეგიის სხდომებზე;

მიიღონ ზომები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების ზუსტი და განუხრელი შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაევალათ დაწესებულ ვადებში უზრუნველყონ მუდმივი კომისიების წინადადებების და რეკომენდაციების განხილვა და შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დაყენებულია საკითხი გააძლიეროს კონტროლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციებისა და დაყენებული საკითხების დროულად განხილვა-გადაწყვეტაზე სამინისტროებსა და უწყებებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების განყოფილების მუდმივი კომისიების მომსახურების ჯგუფს დაევალა მეტი დახმარება გაუწიოს კომისიებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე კონტროლის დაწესების საქმეში.

## საინფორმაციო ცნობები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 24 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 25-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები.

(ბრძანებულება გამოქვეყნებულია გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ 1975 წლის 25 და 26 მარტს).

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1975 წლის 27 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 216 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | . . . . . . . . . . | 28 |
| ადიგენის | რაიონიდან . . . . . . | 3 |
| ახალციხის | „ . . . . . . . | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ბოლნისის | რაიონიდან | 49 |
| გარდაბნის | „ | 29 |
| თელავის | „ | 6 |
| ლაგოდეხის | „ | 12 |
| მარნეულის | „ | 16 |
| მახარაძის | „ | 17 |
| მესტიის | „ | 6 |
| საჩხერის | „ | 15 |
| წითელწყაროს | „ | 3 |
| წყალტუბოს | „ | 16 |
| ხობის | „ | 10 |

*

* *

სსრ კავშირის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 27 მარტის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 764 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან | | 28 |
| ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან | | 245 |
| ქ. გორიდან | | 11 |
| ქ. რუსთავიდან | | 66 |
| ქ. ქუთაისიდან | | 54 |
| ადიგენის | რაიონიდან | 17 |
| ბორჯომის | „ | 77 |
| გეგეჭკორის | „ | 49 |
| დმანისის | „ | 32 |
| ზესტაფონის | „ | 5 |
| თეთრი წყაროს | „ | 10 |
| ლენტეხის | „ | 7 |
| მაიაკოვსკის | „ | 16 |
| მცხეთის | „ | 15 |
| საგარეჯოს | „ | 41 |
| ქარელის | „ | 20 |
| წალკის | „ | 31 |
| ხობის | „ | 40 |

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 15 მარტის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ამბროლაურის რაიონში — საქალაქო საბჭოს გამოეყო სოფელი ძირაგეული და მიეკუთვნა სადმელის სასოფლო საბჭოს; სადმელის სასოფლო საბჭოს სოფელი საკეცია მიეკუთვნა ზნაკვის სასოფლო საბჭოს; ზნაკვის სასოფლო საბჭოს სოფლები ქედისუბანი და შრომა მიეკუთვნა ბუგეულის სასოფლო-საბჭოს; ბუგეულის სასოფლო საბჭოს სოფლები დიდი ჩორჯი და პატარა ჩორჯი მიეკუთვნა ხვანჭკარის სასოფლო საბჭოს.